კასპის ცემენტის ქარხანა ჰაიდელბერგცემენტმა 2008 წელს შეიძინა. ქარხანა 30-იან წლებში იყო აშენებული და, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, საჭიროებდა უზარმაზარ ინვესტიციებს. ქარხანა ფუნქციონირებდა კლინკერის, მოძველებული, ე.წ. სველი მეთოდით გამოწვის სისტემით.
2008 წლის შემდეგ, ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ, ქარხნის მწყობრში მოსაყვანად, 400 მილიონამდე ევროს ინვესტიცია განახორციელა და ინვესტირების პროცესი უწყვეტად გრძელდება.
2019 წელს განხორციელებული კასპის ქარხნის მოდერნიზაციის პროექტის შედეგად საწარმო გადავიდა წარმოების თანამედროვე, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის მეთოდზე: მთლიანად შეიცვალა კლინკერის ხაზის ფილტრაციის სისტემები და დაბალი ეფექტურობის სველი მეთოდის ღუმელი ჩანაცვლდა მაღალ-ეფექტური მშრალი მეთოდის ღუმელით, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა ემისიები. კასპის ქარხნის აღნიშნული მოდერნიზაციის პროექტისათვის კომპანიამ 100 მლნ ევროზე მეტი ინვესტიცია გამოყო.

- დამატებით გაცნობებთ, რომ კომპანიამ კასპში განახორციელა გზების რეაბილიტაციის არაერთი პროექტი, რითიც აღმოიფხვრა გზის ამტვერების პრობლემა ქარხნის მიმდებარე ტერიტორიებზე. ერთ-ერთი ასეთი პროექტი კასპში, ფარნავაზის ქუჩის ქარხანასთან მისასვლელი ცენტრალური გზის სრული რეაბილიტაციაა.

- ჰაიდელბერგცემენტმა,ასევე, განახორციელა კასპის ქარხნის ახალი, 300 მეტრიანი შემოვლითი გზის მშენებლობა; ახალი გზის საშუალებით, მთავარი გზა კასპის ცემენტის ქარხნის ახალ შესასვლელს უერთდება. შედეგად, ფარნავაზის ქუჩის დასახლებულ ნაწილში, რეაბილიტირებულ გზაზე ჰაიდელბერგცემენტთან დაკავშირებული სატვირთო მანქანები აღარ მოძრაობენ. ამასთან ერთად, დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად მუდმივად ხდება ქარხნის მიმდებარე ქუჩის (ფარნავაზის ქუჩა) და ქარხნის შიდა ტერიტორიის მორწყვა, ხოლო მშრალ პერიოდებში, ნედლეულის გადაზიდვის მარშრუტზე (სასხორი-კასპის დამაკავშირებელი გზა) ხორციელდება გზის მორწყვითი სამუშაოები. კომპანია იყენებს სარწყავ ტექნიკასა და ე.წ. „სვუპერს“ (მოგვის ფუნქციის მქონე სპეც-ტექნიკა), რომლის დახმარებითაც გზის დამტვერიანების პრობლება მინიმუმამდეა დაყვანილი. ასევე, აღსანიშნავია, რომ ქარხნის ტერიტორიაზე სრულდება ავტოსადგომის პროექტი, რაც სრულად განტვირთავს ქარხნის სიახლოვეს მდებარე ქუჩებს.

- კომპანიას სრულად აქვს შესწავლილი ქარხანაში არსებული ხმაურის წყაროები, რომლებიც საჭიროებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი შესაფუთი ან ხმის ჩამხშობი საშუალებებით. დამონტაჟებულია ხმაურის ჩამხშობი ეკრანებიც. კომპანია ახლაც მუშაობს ფარნავაზის ქუჩაზე ხმაურის შემარბილებელ დამატებით ღონისძიებებზე.

- ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას აქვს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შექმნილია სამუშაო ჯგუფები, ქარხნის ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი მოსახლეობის (კერძოდ ფარნავაზის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა) მონაწილეობით.
  პროგრამის ფარლგებში ხორციელდება რეგულარული შეხვედრები ქარხნის ხელმძღვანელობასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, სადაც განიხილება პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრის გზები. დაგეგმილი და მიდინარეა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი რომელიც მთლიანდ მორგებეულია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.

- ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ქარხნების ყველა შესაბამისი გაფრქვევის წყარო აღჭურვილია კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილი მუდმივი მონიტორინგის სისტემებით. მუდმივი მონიტორინგის სისტემა კასპის კლინკერის გამოწვის ღუმელზე ქარხნის მოდერნიზაციის პროცესში დამონტაჟდა, მაშინ როდესაც ასეთი საკანონმდებლო მოთხოვნა ქვეყანაში არც კი არსებობდა. აღნიშნული მონიტორინგის შედეგები გამოიყენება ოპერატორების მიერ ფილტრაციის სისტემების გამართული მუშაობის საკონტროლოდ და დროული რეაგირებისთვის.

  ჰაიდელბერგცემენტი, უკვე მესამე ათწლეულია მუდმივ რეჟიმში მუშაობს გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესებაზე. კასპის ცემენტის ქარხანას მინიჭებული აქვს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის ISO 14001 სერტიფიკატი.

გვსურს ასევე ავღნიშნოთ, რომ ქალაქ კასპში, ჰაიდელბერგცემენტის ცემენტის ქარხნის გარდა ფუნქციონირებს მრავალი მცირე თუ საშუალო ზომის საწარმო, რომელთა მიერ შექმნილ ხმაურსა თუ მტვერს ხშირად ჩვენს საწარმოს მიაწერენ.

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია საქართველოს ინდუსტრიულ სექტორში ერთ-ერთი მოწინავე კომპანიაა გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებლების მუდმივი გაუმჯობესებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით.

კომპანია მიესალმება გარემოსდაცვითი ნორმების და სტანდარტების გამკაცრებას და მუდმივ რეჟიმში ახდენს გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოსასვლელად საჭირო ღონისძიებების გატარებას.